სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №70

ქ. ბათუმი 20 დეკემბერი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი: 3, პუნქტი 1, ,,ს1" ქვეპუნქტი) და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" (მუხლი 2, ,,ა" ქვეპუნქტი) შესაბამისად, **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია" (245 626 684)** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის **სოფიო ანანიძის** სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ ნათია ცენტერაძის სახით (61004021412)** (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შ.პ.ს. „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიი"-სათვის სერთიფიკატის ბეჭდვითი მომსახურების (CPV კოდი 79823000) შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართ N1-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3. მიმწოდებელმა შემსყიდველს საქონელი უნდა მიაწოდოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **არაუგვიანეს 3(სამი) კალენდარული დღის ვადაში.**

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 60 (სამოცი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გაფორმებით.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გაფორმებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია: შპს"აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია"-ს სამეურნეო უზრუნველყოფის მენეჯერი-რუსლან ანთაძე.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს სათანადო ხარისხის, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6.5. მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრა გარანტიის პირობებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: თეონა ნუმანიშვილი - შესყიდვების მენეჯერი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

შპს - „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“
მისამართი:
ქ.ბათუმი კ.გამსახურდიას ქ №1, ბ 4-7
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 626 684
საბანკო რეკვიზიტები:
სს "ტერა ბანკი"
ბანკის კოდი: TEBAGE22
ანგარიშის №: GE98KS0000000340800017

დირექტორი:
სოფიო ანანიძე

Sopio Ananidze
Подписано цифровой подписью: Sopio Ananidze
Дата: 2019.12.20 17:27:29 +04'00'

მიმწოდებელი

„ი/მ ნათია ცენტერაძე
მისამართი:
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის N27
საიდენტიფიკაციო კოდი: **61004021412**
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №: GE54BG0000000284990300

დირექტორი:
ნათია ცენტერაძე

2019 წლის 20 დეკემბრის №70 ხელშეკრულების

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება (ლარი)	კლასიფიკატორის კოდი
1	სერთიფიკატის ბეჭდვა	20	3 ლ	60 ლ	79823000
	სულ ჯამი:	2 ერთეული	60 ლარი		

დირექტორი:
შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ -ს
სოფიო ანანიძე

Adjara Waste Management Company LLC

Подписано цифровой подписью: Adjara Waste Management Company LLC
Дата: 2019.12.20 17:28:07 +04'00'

ი/მ ნათია ცენტერაძე